www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორების და სამაცივრე მეურნეობების

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2017 წლის I კვარტალი

19.05.2017

www.geostat.ge

19.05.2017

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2017 წლის I კვარტალი)

<u>სასაკლაოები</u>

2017 წლის I კვარტალში საქართველოში 74 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 18,9% მდებარეობს იმერეთში, 17,6% - ქვემო ქართლში, 14,9% - კახეთში, 13,5% - შიდა ქართლში, 12,2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო დანარჩენი 23,0% სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2017 წლის I კვარტალი



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2017 წლის I კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 74,4 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 56,3% მსხვილფეხა, ხოლო 43,7% - წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2463,2 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2017 წლის I კვარტლის განმავლობაში 8021,2 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 39,6% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 42,3% - ფრინველის, 16,1% - ღორის, 2,0% - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო 0,001% - სხვაზე.

მომსახურება გაეწია 15,0 ათას პირს, საიდანაც 21,9% შინამეურნეობებების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა რაოდენობამ 814 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა - 24,6 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა - 8,8 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა - 23,5 ლარი.

<u>სამაცივრე მეურნეობები</u>

2017 წლის I კვარტალში საქართველოში 41 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლსა (39,0%) და თბილისში (26,8%) იყო განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობების 17,1% მდებარეობს იმერეთში, 9,8% - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ხოლო დანარჩენი 7,3% სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები
რეგიონების მიხედვით, 2017 წლის I კვარტალი



2017 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 5699 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 307 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 1003 კაცით განისაზღვრა.

2017 წლის I კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 67,7 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 64,3%-ი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 12,8% პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 8,8% - თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2017 წლის I კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2017 წლის I კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 3,6 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 3,6 მლნ. ლარი შეადგინა.

2017 წლის I კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 24,4 მლნ. ლარის ღირებულების (7.1 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (61,7%) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 88,0% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათლით) (34,6%), ქათმის ხორცი (23.3%) და თევზეული (17.9%) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე მხოლოდ ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 74,2%-ს, თებერვალში - 69,7%-ს, ხოლო მარტში - 65,6%-ს.

ელევატორები

2017 წლის I კვარტალში საქართველოში 39 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც (64,1%) ქვემო ქართლის რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 15,4% ფუნქციონირებს ქ. თბილისში, 12,8% - შიდა ქართლში, 5,1% - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 2.6% გურიის რეგიონშია წარმოდგენილი:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2017 წლის I კვარტალი



2017 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 40 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 71 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 1001 კაცით განისაზღვრა.

2017 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 214,5 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 82,8%-ს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, კარტოფილი, ალაო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2017 წლის I კვარტალი



2017 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 39,2 მლნ. ლარის ღირებულების 64,8 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 65,3% იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის დაახლოებით 92,0%.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 65,3%-ს, თებერვალში - 58,5%-ს, ხოლო მარტში - 58,6%-ს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge